პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი ოთხშაბათი. 8 აპრილი № 82 (18024) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ლენინური შაბათობა გვიხმობს

□ სოხუმი. (საკ. კორ. ი. გობეჩია). მოსკოვის საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას ლენინური შაბათობის მოწყობის შესახებ ერთსულოვნად გამოეხმაურა „ხოხუმხელსაწყოს“ ქარხნის კოლექტივი. შრომის ზეიმის მოსაწყობად შეიქმნა სპეციალური შტაბი. ამ დღეს საწარმოში 700-ზე მეტი კაცი იმუშავებს, ხოლო შაბათობაში სულ მონაწილეობას მიიღებს 1100-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე.

წინასწარი გაანგარიშებით, „წითელი შაბათობის“ დღეს 27 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ, მოგება კი 1.100 მანეთს გადააჭარბებს. საწარმოს ტერიტორიაზე დაირგვება 500-ზე მეტი ხე და ბუჩქი.

ქარხნის კოლექტივი ხუთწლედის ფონდში 4 ათას მანეთს გადარიცხავს.

□ ამბროლაური. (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). „განვახორციელოთ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი!“, „ხუთწლედს — მუშაური ტემპი რანტია!“ — ასეთი ლოზუნგებით გამოვლენ კომუნისტურ შაბათობაზე რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები.

ურავის სამთო-ქიმიური ქარხნის მეათე საგზაო-სამშენებლო სამმართველოს მოძრავი მექანიზებული კოლონის, სამრეწველო კომბინატის და სხვა საწარმოთა მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მტკიცე გადაწყვეტილებაა 18 აპრილს გადაჭარბებით შეასრულონ გამომუშავების ნორმები. რაიონის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის დარგის 8400 მუშა ამ დღეს 6980 მანეთის სამუშაოებს შეასრულებს, რითაც თავიანთ წვლილს შეიტანენ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

ამბროლაურელები გამომუშავებელ 1000 მანეთს ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

სურათზე: ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობაზე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ძვირფასო ამხანაგო ჰუსაკ!

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის დელეგატებს, ქვეყნის ყველა კომუნისტსა და მშრომელს გადმოგცეთ თანამებრძოლი ამხანაგების — საბჭოთა კომუნისტებისა და მთელი ჩვენი ხალხის მეგობრული და ძმური სალამი. **(ხანგრძლივი ტაში).**

პირადად ჩემზე მოგახსენებთ, რომ ჩეხოსლოვაკიაში ყოფნა ყოველთვის დიდ სიხარულს მგვრის. **(ტაში).** მე უკვე რაღაც სულიერად დავემოყვრე თქვენს შესანიშნავ ქვეყანას. მის მიწა-წყალზე პირველად შემოვდგი ფეხი ომის. ორმოცი წლის წინათ ჩვენი არმიის ჯარის ნაწილებთან ერთად, ლუდვიკ სვობოდას კორპუსის მეომრების მხარდამხარ. ეს უკვე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მეოთხე ყრილობაა, რომელზეც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურად მიხდება ყოფნა. და მე ძალზე მახარებს, რომ შესაძლებლობა მომეცა ამ ღირსსახსოვარ დღეს ვიყო თქვენთან ერთად, ძვირფასო ამხანაგებო. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ დიდი ინტერესით მოისმინა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც ამხანაგმა ჰუსაკმა გააკეთა. განვლილი წლების შედეგების მკაფიო და რეალისტური ანალიზი, რთული, მაგრამ სავსებით რეალური ამოცანების დასახვა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, სოციალისტური დემოკრატიის, სახალხო ინიციატივის შემდგომი განვითარების ზუსტი კურსი — ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია მტკიცედ ადგას მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებს. **(ხანგრძლივი ტაში).** ეს სოციალური და ეკონომიკური პროგრესის ახალი მიჯნებისაკენ თქვენი სამშობლოს გულდაჯერებული წინსვლის ყველაზე საიმედო გარანტიაა. **(ტაში).**

ამხანაგებო! წელს თქვენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის შექმნის მესამოცე წლისთავსაც აღნიშნავთ. თქვენი პარტია თავის იუბილეს ეგებება როგორც მებრძოლი და მოწიფული საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც პოლიტიკური ბრძოლის, საზოგადოების ხელმძღვანელობის დიდი და საგულისხმო გამოცდილება აქვს შეძენილი. ეს გამოცდილება თვით ჩეხოსლოვაკიაში წარმატებული სოციალისტური მშენებლობის საწინდარია. მას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა პარტიებისათვის, მთლიანად საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის.

ეს გამოცდილება გულისხმობს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ბურჟუაზიული რესპუბლიკის პირობებში მუშათა კლასის მოწინავე ნაწილის დასარაზმავად, იატაკქვეშა ბრძოლას ჰიტლერული ოკუპანტების წინააღმდეგ, მათთან შერკინებას ფრონტებზე და სახალხო აჯანყებათა მოწყობას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მისი სოციალური განახლებისათვის.

ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა 1948 წლის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც იმხანად სათავეში ედგა შესანიშნავი რევოლუციონერი კლემენტ გოტვალდი, შეძლო დაერაზმა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მილიონნიანი რაზმები, უზრუნველყო მშვიდობიანი გადასვლა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. **(ტაში).**

1968 წელს კონტრრევოლუციის ძალებზე გამარჯვება, უნარი, გამოგეტანათ იმდროინდელი ამბებიდან ხანგრძლივი მნიშვნელობის ღრმა პოლიტიკური დასკვნები, — ესეც მნიშვნელოვანი წვლილია ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტებისა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაში, მათი დიდი დამსახურებაა ყველა მომძმე ქვეყნის წინაშე. **(ტაში).**

ერთი სიტყვით, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ პირნათლად გაუძლო ბევრ განსაცდელსა და სიძნელეს, და მუდამ მაღლა ეკავა თავისი მარქსისტულ-ლენინური დროშა. და ჩვენ, თქვენი საბჭოთა ამხანაგები და თანამებრძოლები, სულით და გულით ვამბობთ: დიდება ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა პარტიას! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის გამოჩენილი ხელმძღვანელი და რესპუბლიკის პრეზიდენტი, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ამხანაგი გუსტავ ჰუსაკი. **(ხანგრძლივი ტაში).** ამ პარტიის ვეტერანმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი საქმიანობის ბევრ გადამწყვეტ ეტაპზე.

დღეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია მტკიცედ მიუძღვის ჩეხოსლოვაკიელ ხალხს მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით. სოციალისტურად წყდება თქვენში ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირეული პრობლემები. თქვენ სრული საფუძველი გაქვთ იმისა, რომ იამაყოთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მიღწეული ხალხის მასების მატერიალური კეთილდღეობის დონით. თქვენ თვალისჩინივით უფრთხილდებით მშობელი ხალხების უმდიდრეს კულტურულ მემკვიდრეობას და იღვწით მეცნიერების, ხელოვნების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის — ყოველივე იმის განუხრელი აღმავლობისათვის, რაც ემსახურება სოციალიზმის მთავარ მიზანს — საზოგადოების წევრთა ნიადაგშზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას.

ყოველივე ეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წარუვალი დამსახურების შედეგი, მისი პოლიტიკური კურსის სისწორისა და გამჭრიახობის დასტურია. **(ტაში).**

როცა ღირსებისმომბრ აფასებთ მოპოვებულ მიღწევებს, თქვენ ნათლად ხედავთ წამოჭრილ სიძნელეებსაც, მწვავედ აკრიტიკებთ არსებულ ნაკლოვანებებს, აქტიურად ეძებთ მათი აღმოფხვრის საუკეთესო გზებს. ამას მოწმობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაც, ყრილობაზე მისი განხილვის მთელი მიმდინარეობაც.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ თავისი საქმიანობისადმი ასეთივე მომთხოვნი და პასუხისმგებლური დამოკიდებულება გამოვლინდა ჩვენი პარტიის ამასწინანდელი XXVI ყრილობის მუშაობაშიც. სხვაგვარად არც შეიძლებოდა და ვერც იქნებოდა. ჩვენი მუშაობის საღ და კრიტიკულ შეფასებას გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი და სანამ კომუნისტები მის ანდერძს მისდევენ, მათ ხელეწიფებათ ნებისმიერი ამოცანა! **(ტაში).**

შემიძლია უდიდესი კმაყოფილებით გაცნობოთ, ამხანაგებო, რომ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა ცხოველი გამოხმაურება პოვა ჩვენს ქვეყანაში, მათ მხურვალე მოწონებით შეხვდნენ კომუნისტები და მთელი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ადამიანებმა პარტიის საქმე თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნიეს და შეუდგნენ ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის ფართო გეგმების პრაქტიკულ შესრულებას.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები წყვეტენ მრავალფეროვან და, ბუნებრივია, სულ უფრო დიდ და რთულ ამოცანებს მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოების შემდგომი განვითარების გზაზე. და ამის გაკეთება ჩვენ გვიხდება მზარდი კონფრონტაციის, ზოგჯერ კი იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული ძალების მხრივ აშკარად მტრული აქციების პირობებში.

ასეთ ვითარებაში წარმატების მისაღწევად სრულიად აუცილებელია: ჯერ ერთი, თავად ვიმუშაოთ სულ უფრო უკეთ, უფრო ეფექტიანად, ორგანიზებულად, განვავითაროთ ჩვენი ეკონომიკა, კულტურა და სოციალისტური დემოკრატია. მეორე, დღენიადაგ განვამტკიცოთ მოძმე ქვეყნების ერთიანობა, მათი ყოველმხრივი, სულ უფრო ფართო თანამშრომლობა ყველა დარგში, განსაკუთრებით რაციონალურად გავაერთიანოთ ძალები და რესურსები ჩვენ-ჩვენი ქვეყნებისა და მთელი თანამეგობრობის ინტერესებისათვის.

ამ თვალსაზრისით უკვე ბევრი რამ კეთდება და გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი გვაქვს, თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ, ამხანაგებო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ყოველმხრივი და ფართო თანამშრომლობა ვითარდება თანამიმდევრულ სოციალისტურ საფუძველზე — თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის პატივისცემის, ერთურთის ინტერესების გათვალისწინების, ნამდვილი რევოლუციური სოლიდარობის საფუძველზე. **(ტაში).** სწორედ ამის მეოხებით, ჩვენი, თუ ლენინის გამოთქმას ვიხმართ, „სოციალისტური კოოპერატივი“ არათუ არ ნიშნავს მის მონაწილეთა სუვერენული უფლებების რაიმე შელახვას, არამედ, პირიქით, საიმედო დასაყრდენია მათთვის.

ავიღოთ თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ სწორედ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში თანამოქმედების წყალობით შეუძლიათ დღეს მოძმე ქვეყნებს დაიკმაყოფილონ ბევრი უაღრესად საარსებო ეკონომიკური მოთხოვნილება.

როგორც იცით, გაზისა და რკინის მადნის მოპოვებაში ისახება თანამშრომლობის სერიოზული განვითარება. ჩეხოსლოვაკია, ისევე როგორც სსრ კავშირი, უკვე ბევრს ღონობს ატომური ენერგეტიკის შექმნისათვის. ატომის ენერგია შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველყოთ ჩვენი და სხვა მომძე ქვეყნების მოთხოვნილებათა მნიშვნელოვანი წილი. ცხადია, რომ ასეთი მასშტაბის ამოცანის მარტო გადაწყვეტა გაცილებით უფრო ძნელი იქნებოდა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ამხანაგებო: ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის საქმიანობის მუდმივი სრულყოფა შეესაბამება სოციალისტური თანამეგობრობის წევრი ყოველი ქვეყნის საარსებო ინტერესებს. **(ტაში).**

მაგრამ ჩვენმა წარმატებებმა ააწრიალა კლასობრივი მოწინააღმდეგენი. ისინი ყოველნაირად ცდილობენ დაბრკოლონ სოციალიზმის წინსვლა, შიგნიდან გატეხონ იგი. ამისათვის რას არ კადრულობენ — ეკონომიკურ ზეგავლენასა და შანტაჟს, ცრუ პროპაგანდას, პირფერობასა და დემაგოგიას, კონტრრევოლუციური ძალების მხარდაჭერასა და შეგულიანებას, — იქ სადაც ისინი ჯერ კიდევ ბოგინობენ, — და სხვა ძირგამომთხრელ აქციებს.

ყოველივე ეს თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, საკუთარი გამოცდილებით. მან დამაჯერებლად ცხადყო: რეაქციის გეგმები უდღეურია.

ანალოგიურ ცდებს მიმართავენ ახლა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ. მაგრამ პოლონელი კომუნისტები იმედია, პოლონეთის ყველა ნამდვილი პატრიოტის მხარდაჭერით შეძლებენ საკადრისი პასუხი გასცენ სოციალისტური წყობილების მტრებს, რომლებიც დამოუკიდებელი პოლონეთის მტრებიც არიან, შეძლებენ დაიცვან სოციალიზმის საქმე, თავიანთი ხალხის ნამდვილი ინტერესები, სამშობლოს ღირსება და უშიშროება. **(ხანგრძლივი ტაში).**

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი სოციალისტური პოლონეთის ერთგული მეგობარი და მოკავშირე იყო და არის და ამ საქმეში, დარწმუნებული ვარ, ჩვენ და ჩეხოსლოვაკიას, ისევე როგორც სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებსაც, საერთო პოზიცია გვაქვს **(ტაში).**

რთულ საგარეო პირობებში წყვეტს თავისი განვითარების ამოცანებს სახელოვანი კუბის რესპუბლიკა — სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობის განუყოფელი ნაწილი. საბჭოთა კავშირი კვლავინდებურად მტკიცედ და განუხრელად დაუჭერს მხარს მოძმე კუბელ ხალხს. **(ხანგრძლივი ტაში).** სულითა და გულით ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, ვუსურვებთ მშვიდობასა და აყვავებას. **(ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენს სოციალისტურ თანამეგობრობას რომ ვუფრთხილდებით, ამით ვიცავთ ხალხთა ფასდაუდებელ განძს — მშვიდობასა და უშიშროებას. ეს ასეა, რადგან სოციალიზმის ქვეყნებს დღეს გადამწყვეტი წვლილი შეაქვთ ომის თავიდან აცილებაში, რადგან ისინი არიან დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პოლიტიკის მედროშენი.

ჩვენ საბჭოთა კავშირში ამას წინათ ჩვენი პარტიის XXVI ყრილობაზე წამოვაყენეთ მთელი რიგი სრულიად კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია უმწვავეს და მომწიფებულ საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრა მშვიდობისა და ყველა ხალხის უშიშროების ინტერესებისათვის. ეს წინადადებანი მთელ მსოფლიოში გაისმა და მათ დადებითად გამოეხმაურნენ ყველა კონტინენტზე. ჩვენ ვფიქრობთ იმ ენერგიულ და აქტიურ მხარდაჭერას, რომელიც ამ წინადადებების მიმართ გამოიჩინეს ჩვენმა მეგობრებმა და მოკავშირეებმა, მათ შორის, რა თქმა უნდა, სოციალისტურმა ჩეხოსლოვაკიამ. **(ტაში).**

აქ, ევროპის ცენტრში, მინდა ცალკე შევეხო მხოლოდ ერთს ახალ საბჭოთა წინადადებათაგან.

ევროპაში გამალებული ბირთვული შეიარაღება მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნის ევროპის ყველა ხალხს. იმისათვის, რომ როგორმე შევუდგეთ ამ პრობლემის პრაქტიკულ გადაწყვეტას, ჩვენი წინადადებაა თავდაპირველად თუნდაც ის ვიკმაროთ, რაც გვაქვს, ანუ შევწყვიტოთ ევროპის ზონაში იმ ახალი საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვული საშუალებების განლაგება და არსებულის შეცვლა, რომლებიც სსრ კავშირსა და ნატოს ქვეყნებს ეკუთვნის, აქ, რა თქმა უნდა, შედის ამერიკის მოწინავე ბაზირების ბირთვული საშუალებანი ამ რაიონში. ეს მორატორიუმი გასტანდა იქამდე, სანამ არ დაიდება მუდმივი შეთანხმება ევროპაში ორივე ქვეყნის ხსენებული ბირთვული საშუალებების შეზღუდვის, ან უკეთეს შემთხვევაში — შემცირების შესახებ.

რა თქმა უნდა, ჩვენი წინადადება მორატორიუმის თაობაზე თვითმიზანი არ არის. იგი წამოვაყენეთ იმ მიზნით, რომ უფრო ხელსაყრელი ატმოსფერო შეიქმნას მოლაპარაკებისათვის. ამ საკითხში მიზნად მიგვაჩნია — მე ეს წინათაც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ — სწორედ მხარეების მიერ ევროპაში დაგროვებული ბირთვული საშუალებების რაოდენობის შემცირება. ამის გაკეთება სავსებით შესაძლებელია ისე, რომ არ გაუარესდეს არც აღმოსავლეთის, არც დასავლეთის უშიშროების პირობები.

როგორც ცნობილია, ჩვენს წინადადებას ერთობ დადებითად გამოეხმაურნენ დასავლეთ ევროპის ფართო პოლიტიკური წრეები და საზოგადოებრიობა. მაგრამ არც იმათ დაუყოვნებიათ, ვისაც არ ეპიტნავა ეს წინადადება.

ამტკიცებენ, თითქოს ახალი საბჭოთა წინადადება მიზნად ისახავდეს განამტკიცოს ვითომდა ამჟამად არსებული ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ძალთა უპირატესობა. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ამის შესახებ მე უკვე დაწვრილებით ვილაპარაკე სკკპ XXVI ყრილობაზე. თუ საერთოდ გადავხედავთ ევროპის რაიონში დღესდღეობით ორივე მხარის განკარგულებაში არსებულ ბირთვულ პოტენციალებს, აშკარა იქნება ორივე მხარის ძალთა დაახლოებითი წონასწორობა. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს არაერთხელ უღიარებიათ დასავლეთშიც. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა შმიდტმა მიმდინარე წლის თებერვალში ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის დროს პირდაპირ თქვა, სწორი არ არის, თითქოს ევროპაში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ძალთა წონასწორობა დარღვეულიყოსო. თუმცა ესეც კია, კანცლერმა შიში გამოთქვა, „რუსებმა წუთიწუთზე შეიძლება დაარღვიონო იგი“. ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰეიგიც ლაპარაკობდა „შედარებითს წონასწორობასა და ეკვივალენტურობაზე“. თუმცა, წუხილიც გამოთქვა, მომდინარე ათწლეულის შუა ხანებში წონასწორობა შეიძლება სსრ კავშირის სასარგებლოდ დაირღვესო.

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ახლანდელი სიტუაციისა და მისი განვითარების პერსპექტივების ამგვარი შეფასებისას დასავლეთის ქვეყნების ხელმძღვანელები ორივე ხელით უნდა ჩაებღაუჭონ ჩვენს წინადადებას. და თუ ამის მაგივრად ზოგიერთი მათგანი ცდილობს დააკნინოს მისი მნიშვნელობა, ამას, რა თქმა უნდა, იმიტომ როდი შვრება, რომ ევროპაში რამდენიმე დღეში შეიცვალა ძალთა თანაფარდობა. ისინი ასე იმიტომ იქცევიან, რომ სურთ შეცვალონ იგი დასავლეთის სასარგებლოდ და არ უნდათ ხელ-ფეხი შეიბორკონ მორატორიუმით.

მაგრამ ასეთი ცდები — ეს ნათლად უნდა გვესმოდეს — მხოლოდ აიძულებს მეორე მხარეს საპასუხო ღონისძიებებს მიმართოს. და კვლავ დაიწყება მანკიერი წრე — ოღონდ ევროპის მდგომარეობა ყველასათვის კიდევ უფრო საშიში გახდება. ნუთუ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებისათვის ესოდენ ძნელია ამის გაგება?

საერთოდ, ამხანაგებო, ჩვენი წინადადებების მიზანია მშვიდობის განმტკიცების ყველაზე აქტუალური, ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგება. და ჩვენ ვთავაზობთ დაინტერესებულ მხარეებს დავიწყოთ საქმიანი, კონსტრუქციული მოლაპარაკება ამ საკითხებზე — ნებისმიერ დონეზე, ყოველგვარი წინასწარი პირობის დაუთქმელად. თუ ვინმეს აქვს სხვა გონივრული წინადადებანი, მზად ვართ განვიხილოთ ისინიც. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობებს, გულახდილად რომ ვთქვათ, მაინცდამაინც ვერ ვამჩნევთ, რომ სწყუროდეთ ასეთი მოლაპარაკება.

ზოგჯერ გვეუბნებიან, ყველაფერი ეს ძალზე საინტერესოა, მაგრამ ხანგრძლივ შესწავლას მოითხოვს და

(დასასრული მე-2 გვ.)

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

აჩქარება ამ საქმეში არ გვარგებსო. თანაც გვაგრძნობინებენ, პოზიციების განსაზღვრა დამოკიდებულია არა ამ, არამედ სხვა მთავრობებზეო. ჰოდა, გამოდის, მანამდე კი უნდა ძლიერდებოდეს გამალებული შეიარაღება და კიდევ უფრო მწვავდებოდეს საერთაშორისო ვითარება.

სხვა შემთხვევებში ცდილობენ წამოგვიყენონ მოთხოვნები და წინასწარი პირობები. თვითონ იმის „უფლებას“ ჩემულობენ, რომ ლამის დედამიწის ყველა კუთხეში ბრძანებლობდნენ, ჩვენგან კი მოლაპარაკებაზე დასავლეთის თანხმობის საფასურად მოითხოვენ ოდნავადაც კი არ გავითვალისწინოთ საკუთარი უშიშროების ინტერესები და არ დავეხმაროთ მეგობრებს, როცა მათ თავს ესხმიან ან თავდასხმით ემუქრებიან.

სხვა რომ არა ვთქვათ რა, უცნაური პოზიციაა.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირს რომ განეცხადებინა: სანამ რომელიმე მომწიფებული საერთაშორისო პრობლემის მოწესრიგებაზე მოლაპარაკებას დავიწყებდეთ, დასავლეთის სახელმწიფოებმა უნდა შეცვალონ თავიანთი პოლიტიკის ის ნაწილი, რომელიც არა მარტო ჩვენ, არამედ ბევრ სხვასაც, აშკარად არ მოგვწონს. ვთქვათ, ჯერ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოიყვანოს თავისი ჯარები ამა და ამ ქვეყნიდან, ამა და ამ უცხოეთის სამხედრო ბაზიდან. შეუწყვიტოს მხარდაჭერა და იარაღის მიწოდება ამა და ამ დიქტატორულ ტერორისტულ რეჟიმს.

ვითომ ვინმე გაუწევდა ანგარიშს მოლაპარაკების საკითხისადმი ამგვარ მიდგომას? ფრიად საეჭვოა. ალბათ, უფრო, მიამიტებად ჩაგვთვლიდნენ, რომლებსაც არა გაგვეგება რა პოლიტიკისა, ან ადამიანებად, რომლებიც ხელოვნურ დაბრკოლებებს ქმნიან, აჭიანურებენ საქმეს, თავს არიდებენ მოლაპარაკებას, რადგან სულ სხვა, არცთუ მშვიდობიანი განზრახვა აქვთ.

ისტორიის გამოცდილება, კერძოდ, უკანასკნელი ათწლეულების გამოცდილებაც, დამაჯერებლად მოწმობს: სახელმწიფოთა მოლაპარაკებას მხოლოდ მაშინ სდევს წარმატება, როცა არ ცდილობენ ერთმანეთს უკარნახონ თავიანთი პირობები, როცა მართლა სურთ მშვიდობა და პატივს სცემენ ერთმანეთის ინტერესებს. სწორედ ამ საფუძველზე მივაღწიეთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებმაც ხელი შეუწყო ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. დავასახელებ, მაგალითად, სახელმწიფო ხელშეკრულებას დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ, 1971 წლის შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის თაობაზე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშეკრულებებს, საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგებებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ და, რა თქმა უნდა, ჰელსინკში ხელმოწერილ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტს.

შესაბამისი სახელმწიფოების მთავრობებისაგან მოველით, რომ ამგვარადვე მიუდგებიან საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულ წინადადებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ XXVI ყრილობაზე, და ეს ეცნობათ ამ მთავრობებს. რამეთუ ჩვენი წინადადებანი წამოყენებულია არა პროპაგანდისათვის, არამედ იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ ურთიერთმისაღები მორიგებების მიღწევას მშვიდობის — ევროპის, აზიის, ამერიკის, ახლო, შუა და შორეული აღმოსავლეთის მშვიდობის საკეთილდღეოდ. საყოველთაო მშვიდობის საკეთილდღეოდ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, დასასრულ გამოვთქვა რწმენა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტები, მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია წარმატებით გადაწყვეტენ პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგომ მომწიფებული სოციალიზმის მშენებლობის პასუხსაგებ ამოცანებს. იხელმძღვანელებთ რა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XXVI ყრილობის დებულებებით, თქვენ უეჭველად კიდევ უფრო გააძლიერებთ და დაამშვენებთ თქვენს სამშობლოს, კიდევ უფრო გააუმჯობესებთ ხალხის ცხოვრებას, — ახალ წვლილს შეიტანთ ჩვენს საერთო საქმეში — ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში. გისურვებთ სრულ წარმატებას ყველა ამ სახელოვან საქმეში! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს მომმე ჩეხოსლოვაკიელ ხალხს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მარადიულ მეგობრობას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დაე მარადიული იყოს და მტკიცდებოდეს სოციალიზმის ქვეყნების თანამეგობრობა! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დაე მტკიცე იყოს მშვიდობა ქვეყნად, საიმედო — ხალხთა უშიშროება! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

მუდამ ვიაროთ წინ, მეგობრებო, ჩვენი სამართლიანი და კეთილშობილური მიზნისაკენ — კომუნიზმის აშენებისაკენ! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. ყრილობის მონაწილენი ერთხმად გაიძახიან: „მეგობრობა! მეგობრობა! ბრეჟნევ! მეგობრობა!“).**

ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ

ᲕᲔᲜᲐ. შვეიკატის საერთაშორისო აეროპორტში ნ. ა. ტიხონოვს დახვდნენ ბ. კრაისკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. პარი, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში მ. ტ. ეფრემოვი, სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

ბ. კრაისკი, სხვა ავსტრიელი სახელმწიფო მოღვაწენი გულითადად მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

აეროდრომიდან ნ. ა. ტიხონოვი ბ. კრაისკისთან ერთად გაემართა მისთვის გამოყოფილ რეზიდენციაში.

• • •

6 ᲐᲠᲘᲚᲘ ნ. ა. ტიხონოვი ეწვია ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ პრეზიდენტს რ. კირხშლეგერს მის რეზიდენციაში, ჰოფბურგის სასახლეში.

ნ. ა. ტიხონოვთან ერთად იყვნენ მისი თანხმლები ოფიციალური პირნი.

რ. კირხშლეგერსა და ნ. ა. ტიხონოვს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

• • •

ᲕᲔᲜᲐ. 7 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება, ეწვია ავსტრიის ეროვნულ საბჭოს (პარლამენტს).

საპატიო საბჭოთა სტუმარს მიესალმა ეროვნული საბჭოს პირველი თავმჯდომარე ა. ბენია.

საპასუხო სიტყვაში ნ. ა. ტიხონოვმა მხურვალე მადლობა გადაიხადა გულთბილი, მეგობრული მიღებისათვის, რომელიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობის დიდ პოზიტიურ მნიშვნელობას.

ამ ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება ავსტრიაში ჩვენი ვიზიტის მთავარი მიზანია, თქვა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა.

იგი ავსტრიელ პარლამენტარებს მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სახელით, უსურვა ავსტრიის პარლამენტის ყველა დეპუტატს დიდი წარმატებანი მათს კეთილშობილურ საქმიანობაში მშვიდობის უზრუნველყოფისა და ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის განვითარებისათვის.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა დაათვალიერა პარლამენტის შენობა. შემდეგ იგი იყო ავსტრიის დედაქალაქის ცენტრში, სადაც გვირგვინით შეამკო საბჭოთა განმათავისუფლებელი მეომრების ძეგლი.

გვირგვინით შეამკეს აგრეთვე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულ ავსტრიელ მოქალაქეთა ხსოვნის პატივსაცემად აღმართული აკლდამა.

გვირგვინებით შემკობის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

• •

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲕᲔᲗᲘᲗ

6 ᲐᲠᲘᲚᲘ საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. პუიი.

აეროდრომზე სტუმარს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

ᲐᲛᲐᲕᲔ დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს კრემლში გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი.

საპატიო ჯილდოს გადაცემისას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ე. პოლიაკოვმა თქვა, რომ ფ. პუიას ცხოვრების გზა მჭიდროდ არის დაკავშირებული უნგრელი კომუნისტების პარტიასთან. საბჭოთა ადამიანები იცნობენ მას სსრ კავშირის დიდ, გულწრფელ მეგობრად, რომელიც ბევრ რამეს აკეთებს ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის. ამ ურთიერთობის განმსაზღვრელი ფაქტორია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისა და იანოშ კადარის რეგულარული შეხვედრები.

ი. ე. პოლიაკოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს მიუღოცა დაჯილდოება.

ფ. პუიამ მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას და ხაზი გაუსვა, რომ საპატიო ჯილდოთი აღინიშნა არა მარტო მისი მუშაობა, არამედ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობაც, რომლის მიზანია ორი ქვეყნისა და ხალხის ურთიერთობის მუდმივი განმტკიცება და გაღრმავება. უნგრელი ხალხისათვის, თქვა მან, უპირველესი მნიშვნელობის საქმეა, გაუფრთხილდეს და განავითაროს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა. (საკდესი).

• •

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირში კოლუმბიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ხუანი სესარ ტუბაი აიალას ვიზიტი, რომელიც ამა წლის აპრილის შუა რიცხვებისათვის იყო დასახული, კოლუმბიის მხარის თხოვნით გადაიდო. ვიზიტის შესაძლო ახალი ვადები შეთანხმდება და გამოქვეყნდება დამატებით.

• •

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲜᲐᲦᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲨᲘ

1981 ᲬᲚᲘᲡ 17 მარტიდან 8 აპრილამდე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიებზე მიმდინარეობდა მოკავშირე არმიებისა და ფლოტების ერთობლივი სამეთაურო-საშტაბო წვრთნა, რომლის პირობითი სახელწოდება იყო „კავშირი-81“.

წვრთნას ხელმძღვანელობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების გაერდიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი.

წვრთნის დროს ხვეწდნენ მოკავშირე არმიების ჯარებისა და ფლოტების ძალების ერთობლივი საბრძოლო მოქმედების და წარმოების, მათი ყოველმხრივი უზრუნველყოფის საკითხებს.

წვრთნის მონაწილე ჯარების მოქმედებას წვრთნის ხელმძღვანელებთან ერთად თვალს ადევნებდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ვ. იარუზელსკი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი მ. ძური, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი არმიის გენერალი ა. ი. გრიბკოვი და მომმე არმიების სხვა მხედართმთავრები.

წვრთნამ ორგანიზებულად, სასარგებლოდ ჩაიარა და ცხადყო გენერლების, ადმირალებისა და ოფიცრების ოპერატიული მომზადების გაზრდილი დონე. მან ხელი შეუწყო მომმე არმიათა უმაღლესი შტაბების შემდგომ კოორდინაციას, მათი თანამოქმედების სრულყოფას, პირადი შემადგენლობის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებას, მის აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

წვრთნის წინაშე დასახული მიზნები მიღწეულია. შტატები წვრთნის მონაწილე ჯარებითურთ ბრუნდებიან მუდმივი დისლოკაციის ადგილებში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲓᲐᲮᲚᲝ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲝᲑᲘᲠᲘ

„ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ, სასადილო, სამრეცხაო, ქიმწმენდა — აქ ადამიანები ყოველდღე დადიან. რისი შეძენა შეუძლიათ, როგორ ხვდებიან აქ მათ, როგორ ელაპარაკებიან, რამდენ დროს ხარჯავენ ისინი ამა თუ იმ საყოფაცხოვრებო საზრუნავისათვის? ადამიანები მეტწილად სწორედ იმის მიხედვით აფასებენ ჩვენს მუშაობას, თუ როგორ წყდება ეს საკითხები...“. შეახსენა რა აუდიტორიას პარტიის XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ეს სიტყვები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ჩხეიძემ თათბირზე გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა:

— ეს მითითება უაღრესად აქტუალურია ჩვენი რესპუბლიკის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მუშაკთა საქმიანობისათვის. მეთერთმეტე ხუთწლეულში მათ უსათუოდ უნდა აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა, მუშაობისა და მომსახურების ხარისხი, უფრო ფართოდ გაშალონ შეჯიბრება ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სერვისის სანმოუშო ორგანიზაციისა და მაღალი კულტურისათვის, მტკიცედ ებრძოლონ სხვადასხვაგვარ ნეგატიურ მოვლენებს.

ვაჭრობის სფეროში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა დიდმნიშვნელოვან ამოცანად რჩება მეთერთმეტე ხუთწლეულშიც, — გადაწყვიტა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ.

ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოს სოციალური ინსტიტუტების სისტემაში ცხადზე უცხადესია. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ნერვი, რომლის ტკივილი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის სულ სხვადასხვა სფეროში იგრძნობა. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა: სწორედ ამიტომ ამ დარგში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული ყოველი გამარჯვება სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძვლების განმტკიცების უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ.

ამ პრობლემის მნიშვნელობამ განაპირობა ისიც, რომ თათბირის აუდიტორიას შეადგენდნენ არა მარტო ვაჭრობის მუშაკები, არამედ აგრეთვე პარტიული რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, სამინისტროებისა და უწყებების, საფინანსო-ეკონომიკურ და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები. თათბირმა მთავარი ყურადღება დაუთმო ვაჭრობაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის შემდგომ სრულყოფას და ხაზი გაუსვა: ამ ბრძოლას უნდა უძღვნებოდნენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოები, ეკონომიკური, ფინანსური, ფულადი, ფასწარმოქმნადი, ბანკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური სტიმულირების, ეკონომიკური ანგარიშსწორების, ეკონომიკური სანქციების, ეკონომიკური ბერკეტების, ეკონომიკური ინტერესების, ეკონომიკური ანალიზის, ეკონომიკური ინფორმაციის, ეკონომიკური ინდიკატორების, ეკონომიკური ბალანსების, ეკონომიკური ნორმატივების, ეკონომიკური ეფექტიანობის, ეკონომიკური ანგარიშგ

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით

საკდესისა და ახალი ამგები საბგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

7 აპრილი

პოლონეთის ამგები

კრაკოვი, 7 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). ერთსულოვნების ვიოლარეებში, საქმიანად მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა. დელეგატები მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, დიდი დაინტერესებით მსჯელობენ ყრილობის ტრიბუნიდან ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეშვიდე ხუთწლედის პროგრამის შესახებ, სახავენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შენებლობის ახალ მიჯნებს. პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების სახელით სცენაზე იწონებენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და აცხადებენ, რომ ეფექტიანი მუშაობით ყოველნაირად შეიწყობენ ხელს პარტიის გეგმების განხორციელებას.

თავიანთ გამოსვლებში დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირში განვითარებული სოციალიზმის შენებლობის გამოცდილება, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ განაზოგადა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებისათვის, მთელი ხალხისათვის ცოდნის, შთაგონებისა და მამობილიზებელი ძალის უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

დღეს დილის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები მჟუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ზშირად ჭუხდა ხანგრძლივი ტაში. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრულს დარბაზში შეკრებილნი ფეხზე ადგნენ და მჟუხარე ოვაცია გამართეს. ყრილობის მონაწილენი ერთხმად გაიძახოდნენ: „მეგობრობა, მეგობრობა“, „ბრეჟნევი! მეგობრობა!“.

სხდომის თავმჯდომარემ — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ლენარტმა ყრილობის დელეგატებისა და სტუმრების, მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სახელით წრფელი მადლობა მოახსენა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საქმიანობის და ხალხის გარჯის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლის საქმეში საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურღვევი მეგობრობის როლის მაღალი შეფასებისათვის.

ჩვენ, თქვა ი. ლენარტმა, დიდად ვაფასებთ ჩვენი კომუნისტური პარტიების ყოველმხრივ ურთიერთობას, ურთიერთგაგებას, თანამშრომლობას, ნდობასა და ორმხრივ პატივისცემას. გარწმუნებთ, ამხანაგო ლ. ი. ბრეჟნევ, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხთა სახით საბჭოთა ხალხს ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება მუდმივი, ერთგული და სანდო მეგობრები. გთხოვთ გადასცეთ საბჭოთა კომუნისტებს, მთელს საბჭოთა ხალხს ჩვენი მხურვალე ამხანაგური სალამი, უსურვოთ ჩვენი სახელით ახალი წარმატებანი სკკპ ისტორიული XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეთაურის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის პირდაპირი სატელევიზიო გადაცემა წარმოებდა სსრ კავშირში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში. იგი აგრეთვე მოისმინა და ნახა ინგლისის, ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს სხვა ხალხების ათმილიონობით ადამიანმა.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები დიდ ინტერესით ეცნობიან სამახსოვრო საჩუქრებს, რომლებიც საზღვარგარეთის დელეგაციებმა უძღვნეს ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა ფორუმს. კულტურის სასახლეში გახსნილი გამოფენა ასახავს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ფართო საზოგადოებრივ-ნაციონალურ კავშირურთიერთობას, პატივისცემას, რომლითაც პროგრესული კაცობრიობა ეკიდება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს. აქვეა გამოფენილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საჩუქარი — მხატვარ ი. რიაზანოვის სურათი, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეკიპაჟის ერთობლივ ფრენას კოსმოსში.

საღამოს სხდომაზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, რომელმაც გააკეთა მოხსენება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების ძირითად მიმართულებათა შესახებ. ჩვენი ყრილობის მუშაობა, თქვა მან, მიმდინარეობს დიდი იდეური სიმდიდრის, სკკპ XXVI ყრილობის შესანიშნავი გადაწყვეტილებების გავლენით. საბჭოთა კომუნისტების ყრილობაზე დამტკიცებული აღმშენებლობის გრანდიოზული პროგრამა შთამაგონებელი მაგალითია ჩვენთვისაც, იგი გვისახავს ახალ შესაძლებლობებს ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საქმეში.

კმაყოფილების გრძნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვლილი ხუთწლედის მანძილზე ჩვენ დაგწინაურდით განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, ეს შედეგია ჩვენს მოქალაქეთა შემოქმედებითი, თავდადებული შრომისა, რომლებმაც კონკრეტული საქმეებით შეასხეს ხორცი პარტიის XV ყრილობის გეზს.

მომავალი პერიოდისათვის პარტიის პოლიტიკის მთავარი მიზანია შევინარჩუნოთ და ავამაღლოთ მოსახლეობის ცხოვრების მაღწეული დონე, განვუმტკიცოთ მას ხვალინდელი დღის რწმენა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგების შესაბამისად.

მეშვიდე ხუთწლედის წლებში, აღნიშნა მომხსენებელმა, განზრახული გვაქვს გავადიდოთ ეროვნული შემოსავალი 14-16 პროცენტით, ამასთან სამრეწველო წარმოების საშუალო-წლიური ზრდა შეადგენს 3,4-3,7 პროცენტს, და სოფლის მეურნეობის პროდუქციისა — 2 პროცენტს.

სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად რგოლად რჩება მანქანათმშენებლობა და ელექტრონიკა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ დარგებში წარმოების მოცულობას გაეზრდით 33-35 პროცენტით, მათ შორის, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში — 40-50 პროცენტით.

მეშვიდე ხუთწლედის მთავარი ამოცანების შესრულება შეპირობებულია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის უფრო აქტიური მონაწილეობით შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, უწინარეს ყოვლისა სოციალისტურ ეკონომიკურ ინტეგრაციაში. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაში უმთავრეს როლს ასრულებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარების 1990 წლამდე პერიოდის ხანგრძლივი პროგრამა.

ჩვენ გვინდა, სამეურნეო საქმიანობის შედეგების პოპულარიულად უზრუნველვყოთ საშუალო ხელფასის შესაბამისი ზრდა. ამასთან, უფრო თანამიმდევრულად უნდა ვიყენებდეთ პირადი მატერიალური დაინტერესების პრინციპს.

პირადი და საზოგადოებრივი მოხმარებისათვის გამოყოფილი სახსრები 1985 წელს 1980 წელთან შედარებით 7 პროცენტით გაიზრდება.

ლ. შტროუგალმა გამოთქვა რწმენა, რომ ქვეყნის კომუნისტები და ყველა მშრომელი პირნათლად შეასრულებენ ამოცანებს, რომლებსაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა განსაზღვრავს.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

ფოტოობიექტივი ამხილებს

პიკეტი ლონდონში

დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოსამსახურეები განაგრძობენ ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის, მთავრობისაგან მოითხოვენ ხელფასის მომატებას ცხოვრების სისტემატური გაძვირების გამო.

გაფიცვების შედეგად დაიხურა ქვეყნის აეროპორტები, ფაქტობრივად შეწყდა მთელი რიგი საზღვაო ნავსადგურების მუშაობა, დაკეტილია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულება, ლონდონში სამთავრობო შენობებთან დაყენებულია მრავალრიცხოვანი პიკეტები.

სახელმწიფო მოსამსახურეთა საგაფიცვო მოძრაობის სიმწვავე იმას მოწმობს, რომ ინგლისელ მშრომელებს არ სურთ შეურიგდნენ ახლანდელი მთავრობის დამდუპველ ეკონომიკურ პოლიტიკას.

სურათზე: გაფიცულთა პიკეტი ლონდონში.

კამერა პრეს-საკდესის ფოტო.

ნიადვრების ქალაქში

სამხედრო გადატრიალების შემდეგ

ამ ფორთოხლის ბაღებში მოსულმდე ანკარიდან წამოსულებმა ანატოლიის ზეგანის ტრამალები გადმოვსერეთ. თოვლის ნამქერმა რამდენჯერმე გაგვაჩერა. ერთფეროვან ტრამალებში მხოლოდ ხანდახან თუ ახარებდა თვალს ალვის ხეები, ტირიფები იშვიათი ღელეების პირას, ტანწერწეტა მინარეთები და კარამტით გადაწოლებული სოფლები. თავროსის მთების შემდეგ გზა მკვეთრი დაღმართით ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე დაეშვა. ზამთრიდან ზაფხულში მოვზვიდით. ცხელა, საშინლად ცხელა, იანვრის ამ დღეებში ხალი ზღვაში ბანაობს. ჩვენ ახლა თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო „ცხელ“ მხარეში ვართ. ზღვის სანაპირო ადანადან ანათლიადმდე შეკრული ჯარის ნაწილებთან. გზაში მრავალჯერ გაგვაჩერა და საბუთები შეგვიმოწმა სამხედრო პატრულმა. ფორთოხლის ბაღში მაგიდას ვუსხედით. მასპინძელმა ჩაი გამოგვიტახა, „რიზეს ჩაი“, გვიქებს მის ხარისხს. რაზეც უნდა დაიწყოს საუბარი, იგი მაინც ბუმერანგივით დღვანდელ დღეს უბრუნდება. იგივე კითხვები: რა იქნება ხვალ? რა მოგველის ზეგ? მასპინძელი ანთალიელია. მანაც ბევრი გადაიტანა ტეროროის დღეებში. იგი ასე მსჯელობს: „ახლა რომ დასვათ თურქეთში კითხვა, ვის გინდათ 11 სექტემბერს დაუბრუნდეთო, დარწმუნებული ვარ, 45 მილიონი თურქი უარს იტყვის. არავის არ უნდა იმ ტეროროის დღეების გახსენება. მაგრამ შემდეგ, მომავალი?“ როგორი იქნება ახალი კონსტიტუცია, რომელიც უნდა მიიღოს დამფუძნებელმა კრებამ? პრესის ცნობით და როგორც ხალხი ამბობს, მომავალ კონსტიტუციას საფუძვლად დაედება თურქეთის პირველი კონსტიტუცია, რომელიც ათათურქის უშუალო ხელმძღვანელობით იყო შედგენილი და ათათურქის კონსტიტუციის სახელით არის ცნობილი. ოღონდ მასში შეტანილი იქნება ცვლილებები, კერძოდ, გაიზრდება პრეზიდენტის უფლებები, ისე როგორც ეს საფრანგეთის კონსტიტუციაშია. ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების საფუძველი გახდება ორი მთავარი პარტია, ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად. ახალმა საარჩევნო კანონმა უნდა უზრუნველყოს გამარჯვებული პარტიისათვის აბსოლუტური უმრავლესობა, რომ ხელისუფლებაში არ იყოს მერყეობა და გაურკვევლობა და კვლავ არ გაჩნდნენ მაკოსავით აქეთ-იქეთ „მტბუნავი“ პარტიები. მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი ეს ვარაუდებია, რომლებსაც ავრცელებენ გაზეთები, ან რომლებზეც მსჯელობენ ჩვენსავით ფორთოხლის ბაღებში მსხდომნი თუ ათათურქის ბულვარზე მოსეირნენი.

დღეს კი ცხოვრება თავისი გზით მიდის. სწრაფად მატულობს ფასები, ლირა უფასურდება. თუ მარშან ინფლაციის ტემპი თებერვლიდან ივლისამდე განუწყვეტლივ ნელდებოდა, აგვისტოდან მან ისევ სწრაფად იწყო ზრდა. ეს უკვე თურქეთში არსებული კრიზისის მეორე მხარეა. ევრენის მთავრობამ ფასების მატებასთან დაკავშირებით გაზარდა მოსამსახურეთა ხელფასი და პენსიები, მაგრამ ეს ღონისძიება მხოლოდ დაიჭერებს ინფლაციის ტემპს, ხელს შეუწყობს ცხოვრების გაძვირებას და სულ მოკლე ხანში რეალური ხელფასი, უწინდელ დონეზე აღმოჩნდება. „ი ზოგიერთი ნიშანდობლივი ციფრი: კილოგრამი პური 1960 წელს ღირდა 70 ყურუში (ლირაში 100 ყურუშია), 1980 წელს — 25 ლირა და, თუ გაძვირება ასეთი ტემპით გაგრძელდა, 1990 წელს იგი 344 ლირა ეღირება. კილოგრამი ხორცი 1960 წელს ღირდა 7 ლირა, 1980 წელს — 325, ხოლო 1990 წელს 4.135 ლირა ეღირება. თურქები ხუმრობენ: „თუ წელს, საყიდლებზე ფული საფულეთი მიგვაქვს, 1990 წელს იგი ჩემოდნებით უნდა ვატაროთ“. ლირის გაუფასურების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად თურქებს ნავთობის გაძვირება მიაჩნიათ.

დიდი ხანია, რაც თურქეთში ნავთობს ეძებენ, მაგრამ მნიშვნელოვან შედეგს ვერ მიაღწიეს. მისი წარმოება ყოველწლიურად მცირდება. თუ 1960 წელს მოიპოვეს 3,6 მილიონი ტონა ნავთობი, 1980 წელს — მხოლოდ 2,3 მილიონი ტონა. სულ კი წლიური მოხმარება 14 მილიონ 800 ათას ტონას შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეში თურქეთს ნავთობი 8,9 მილიონი დოლარის ვალუტა უჯდება. ამიტომ ამჟამად გაფაციცებით ეძებენ ნავთობს. გაუგიათ, სუფსაში ნავთობმა ამოხეთქაო, და ეცნენ შავი ზღვის სანაპიროებს. ახლა გაიგეს, რომ თბილისთან აღმოჩენილა. ისევ გაელვებიათ დაკარგული იმედი, იქნებ ნავთობი იქ აღმოაჩინონ, სადაც წინათ ეძებდნენ და ვერ იპოვეს. თურქეთი ცდილობს თავისი საქონლის ექსპორტის გაზრდას, რათა შეამციროს ძირითადად ნავთობის შემოტანით გამოწვეული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი. მაგალითად, 1980 წელს უცხოეთში გაყიდეს თურქეთში დამზადებული 1300 „რენოს“ მარკის ავტომანქანა და 1895 ძრავა, მაგრამ ძირითადი საექსპორტო საქონელი მაინც სოფლის მეურნეობის პროდუქტებია. დიდ იმედებს ამყარებდნენ ხორბლის ექსპორტზე. 1980-1981 წლებში აპირებდნენ 500 მილიონი დოლარის ხორბლის გაყიდვას, მაგრამ აქაც უმტყუნეთ ბედმა. ნავთობი ბევრად უფრო სწრაფი ტემპით ძვირდება, ვიდრე ხორბალი. ამრიგად, ხორბლის ექსპორტის ეფექტიანობა კლებულობს. პრობლემები, რომლებიც დგას თურქეთის ეკონომიკის წინაშე, ძალიან რთულია და პერსპექტივებიც ვერ არის კარგი, მაგრამ არის კიდევ ერთი პრობლემა: მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ეგრეთ წოდებული დემოგრაფიული აფეთქება. ამტკიცებენ, რომ თურქეთში ამჟამად მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ინდოეთსა და ჩინეთში. მოსახლეობის უკანასკნელი აღწერით, თურქეთის მოსახლეობამ 45.217.556 შეადგინა. თუ ასე გაგრძელდა, მოსახლეობის წლიური მატება მალე ერთ მილიონს მიაღწევს. გამოიანგარიშეს, რომ ამ ერთი მილიონი მოსახლეობისათვის ქვეყანას ყოველწლიურად დამატებით სჭირდება: 1000 ექიმი, 3 ათასი პოლიციელი, 25 ათასი მასწავლებელი; 5 ათასი დაწყებითი სკოლა, 6 უნივერსიტეტი, რის საშუალებაც თურქეთს არა აქვს. საინტერესოა, რომ მოსახლეობა თანაბრად არ მატულობს, მაგალითად, ართვინის ვილაიეთში მოსახლეობამ მომატების მაგვრად იკლო.

ასეთია ეკონომიკური პერსპექტივები. ეკონომიკა და პოლიტიკა კი, მოგეხსენებათ, ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს.

თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალება არ გაგდა ჩ

ლესას. თურქეთის ახალი ხელისუფალნი გამუდმებით აცხადებენ, რომ სურთ განავითაროს ევროპულ-მეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, როგორც ამას ქემალ ათათურქი აკეთებდა და ეს პოლიტიკა ყოველთვის ემთხვეოდა თურქეთის საარსებო ინტერესებს. ასეთი პოლიტიკა საჭიროა თურქეთისათვის, მით უმეტეს ახლა, როდესაც მის წინაშე რთული პრობლემები დგას.

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ამერიკელმა სამხედრო თუ პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ამ ბოლო დროს მოუხშირეს თურქეთში სიარულს და მათი მონაწილეობით მიმდინარე წელს სამხედრო მანევრები მოეწყო ჩვენი საზღვრების მახლობლად.

გუშინდელი ავდრის შემდეგ კაკასიონზა ნისლები აიყარა. უცნაურად გამჭვირვალე დღეა. თვალს იტაცებდა ამომავალი მზის სხივებში ამ დილით ხალდეს კედელი და მისი გვირგვინები: შხარა, ლიალეერი, ვესტოლა. რა ზვიადი იყო ხმლის ვარსკვლავის სწორი ხვამლის ყლდე...

ნიავი ოდნავ არხევს გაზაფხულის ფოთლებს. ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან ვდგავართ. თეთრ ქვაზე ამოკვეთილ ნატიფ ჩუქურთმას ფრთხილად შეახო ხელი ილთერ თურქმენმა, შემდეგ, თითქოს ჩუქურთმის ხვეულებში გზის გაკვლევა უჭირსო, ნელა, ალტაცებული მზერა ააყოლა ტაძრის კედლებს. ილთერ თურქმენი ცნობილი თურქი დიპლომატია. მრავალი ქვეყანა შემოუვლია და ქრისტიანების, მაჰმადიანების თუ წარმართების მრავალი ტაძარი უნახავს და სალამაზის დაფასება იცის. სახეზე ვატყობ, რომ ადამიანურად დაეწანა დაქცეული ტაძარი, ლამის ცრემლიც ჩამოუგორდეს. არ დამმალავს, თუ ვინ და რატომ აააფთქა ეს ტაძარი, ვის ჰქონდა და დღევანდლამდე შემორჩა ეს ჩვეულება. ყურადღებით მომისმინა ისე, რომ ჩუქურთმისათვის ხელი არ მოუცლიანა, და მითხრა: ოსმალეთის სულთნები ომისათვის იყენენ დაბადებულნი. ქემალ ათათურქმა ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფო, რესპუბლიკური თურქეთი შექმნა. ახალი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას ახალი საფუძვლები დაუდვა. ქემალ ათათურქის პოლიტიკა — ეს იყო მეგობრობის პოლიტიკა მეზობელ ხალხებთან. ქემალ ათათურქი ყოველთვის ადგა საბჭოთა კავშირთან ძმობის პოლიტიკას. ჩვენ მისი მიმდევრები ვართ და ვალდებული ვართ მისი ნაჩვენები გზით ვიაროთ“.

შემდეგ დიდხანს ვიჯექით რიონის პირას ოქროს ჩარდახის ფართო აივანზე. ჩვენმა მასპინძლებმა გივი ყალაბეგიშვილმა და ლევან ახვლედიანმა ლარნაკი უსახსოვრეს სტუმარს. ლარნაკზე ამოკვეთილი ჩუქურთმა საოცრად ჰგავდა აფეთქებული ბაგრატის ტაძრისას.

ქუთაისი კარგა ხანია უკან მოვიტოვეთ. ვკეცავთ კილომეტრებს კოლხეთის ტრიალ ველზე. ჩვენი სტუმარი კი სულ ქართული ჩუქურთმისა და ტაძრების მხატვრულ-არქიტექტურულ ღირსებებზე საუბრობდა.

საუბარმა ჯერ პეტრიწონში გადაგვიყვანა, მერე — სინას მთასა და იერუსალიმში და ბოლოს კვიპროსზე, ღალიას მონასტერზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ეს სწორედ იმ დღეებში ხდებოდა, როდესაც თურქეთის ჯარების დესანტის გადასხმა კვიპროსზე ჯერ კიდევ ახალი ამბავი იყო. „ქართველებსაც გქონიათ თქვენი ინტერესი კვიპროსზე, — ხუმრობით თქვა ილთერ თურქმენმა, — ჩემი ქვეყნისათვის კი ეს უმძიმესი პრობლემაა, უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ყველაზე უფრო მტკივნეული და გადაუჭრელი. კვიპროსმა შეიძლება თურქეთის ნებისმიერი მთავრობა მიგნიდან ააფეთქოს. ალბათ მარტო ამ საკითხის გამო არ ვისურვებდი ეყოფილიყავი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი“.

მოხდა ისე, რომ ქენან ევრენმა, ძალაუფლების ხელში აღების რამდენიმე დღის შემდეგ, ილთერ თურქმენი საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა. კვიპროსის პრობლემა ისევ ისე მწვავეა. მაგრამ თურქეთისათვის გაჩნდა კვიპროსზე ბევრად უფრო მწვავე და მძიმე პრობლემა, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს. ეს გახლავთ ნავთობის პრობლემა. თურქეთის ენერგეტიკა, თურქეთის ტრანსპორტი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. თუ დღეს თურქეთში თავი გაავლეთ იმით, რომ დღეში რამდენიმე საათით გამორთავენ ელექტროენერგიას და დიასახლისებს მოუწოდებენ, რომ დიდი ქაღალდიდან თითო ნათურა მაინც ჩამოხსნან, ხვალ საერთოდ შეწყდება ელექტროდენის მიწოდება დღისითაც და ღამითაც. ნავთობისათვის სჭირდება თურქეთს ირანიც და არაბული ქვეყნებიც. ამიტომ ვერ აწყენინებს ვერც ირანს და ვერც არაბულ სამყაროს. ვერ ვიტყვით, რომ შაჰის რეჟიმის დროს ირანსა და თურქეთს შორის კარგი ურთიერთობა ყოფილიყოს. მიუხედავად აგრესიულ სამხედრო პაქტებში ერთმანეთი მონაწილეობისა, ისტორიულად ამ ორ ქვეყანას ბევრი რამ ჰქონდათ სადავო ჯერ კიდევ ამ დროს, როდესაც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა ბასრა, ბაღდადი. ამ ორ სახელმწიფოს შორის საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ომუსრულებელი ომების საბაბი იყო თურქეთ-ირანის გადაუწყვეტელი დავა ტერიტორიის გამო, საემკვიდრეოდ თურქეთიდან გამოყოფილ ერაყს რომ დარჩა. მაგრამ ისმება კითხვა: რა პოზიციას დაიკავებს თურქეთი ამ კონფლიქტში? პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: მის პოზიციას განსაზღვრავს, ჯერ ერთი, ნავთობის საკითხი. და მეორეც, მუშახელის ექსპორტის საკითხი, მომდინარე წლის თებერვლისათვის თურქეთის 59 ფირმა აწარმოებს მშენებლობას მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, იმ დროს, როდესაც ამ ორი წლის წინად იქ მხოლოდ 29 თურქული ფირმა მოქმედებდა. არაბულ ქვეყნებში თებერვლისათვის 80 ათასი თურქი მუშაობდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თურქეთისთვის ამჟამად, როდესაც ევროპის ქვეყნების კარი მისი მუშებისათვის დაიკეტა. თურქეთი ერთნაირად არის დაინტერესებული როგორც ირანის, ისე ერაყის ნავთობით, რომელსაც ყოველთვის ორივე ქვეყნიდან იღებდა და ამიტომ ვერც ერთს შეელევა და ვერც მეორეს. ამ მდგომარეობამ განსაზღვრა თურქეთის ნეიტრალიტეტი ერაყ-ირანის კონფლიქტში. ეს ხელს აძლევს ირანსაც და ერაყსაც, თურქეთს კი იმედი აქვს, რომ ძველებურად განაგრძობს ნავთობის მიღებას ორივე ქვეყნიდან, თუმცა ისინი მტლიანად ვერ დაკმაყოფილებენ თურქეთის მოთხოვნილებას. ამიტომ ილთერ თურქმენი სასწრაფოდ გაემგზავრა საუდის არაბეთში, რაც მძიმე მისია იყო, ვინაიდან არაბულ ქვეყნებს არ მოსწონთ თურქეთის თითქმის მეგობრული დამოკიდებულება ისრაელთან.

საუდის არაბეთმა, რომელმაც კარგად იცოდა თურქეთის გაჭირვება, როგორც ჩანს, მოსთხოვა მას ნავთობის სანაცვლოდ ისრაელთან ურთიერთობის გადასინჯვა. ზუსტად არავინ იცის, რა საუბარი გაიმართა თურქმენსა და საუდის არაბეთის ხელისუფალთა შორის, მაგრამ ილთერ თურქმენის დაბრუნების შემდეგ თურქეთმა იმ საბაბით, რომ ისრაელმა თავის დედაქალაქად იერუსალიმი გამოაცხადა, მასთან ურთიერთობა ელჩების დონიდან მრჩეველთა დონემდე შეკვეცა. ამავე დროს გაზეთებმა მოათავსეს ცნობა, რომ საუდის არაბეთი დაჰპირდა თურქეთს მიაწოდოს საჭირო ნავთობის ნახევარი. ნავთობის მიწოდება აღუთქვა აგრეთვე კუვეიტმა, მაგრამ ამით ყველაფერი არ ამოწურულა. თურქეთის დიპლომატიას ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა მოელის ნავთობის საშოვნელად. კვიპროსის თურქების წარმომადგენლებმა კი ამ უკანასკნელ ხანს მოუხშირეს თურქეთში ვიზიტებს, რომ თავი არ დაავიწყონ ანკარას.

ქენან ევრენმა გადატრიალებისთანავე გამოაცხადა და შემდგომ არაერთხელ გაიმეორა, რომ ქემალ ათათურქის გზით ივლის. თურქმენმა, რომელიც ამჟამად სათავეში უდგას თურქეთის საგარეო პოლიტიკას, იმ დღეს, როდესაც ბაგრატის ტაძართან ვიდექით, სწორად განმარტა, ქემალ ათათურქის პოლიტიკა საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ ძმობის პოლიტიკა იყო და ჩვენც გვინდა, რომ თურქეთმა სწორედ ასეთი პოლიტიკა განახორციელოსო.

არ ვიცი, აქვს თუ არა კიდევ თურქმენს ის ლარნაკი, რომელიც ქუთაისში უსახსოვრეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმა მას არასოდეს არ დაავიწყდება.

როგორც კი თავისუფალ დროს ვიხელთებ, ქოჯაბეის დუქნებისაკენ ჩავიელი, ყიზილაის მოედნის მახლობლად რომ მდებარეობს. აქ ძმებს თურპანებს წიგნის მაღაზია აქვთ. ეს მაღაზია არც ისე დიდია, ანკარაში მასზე უფრო დიდი, ნათელი და მდიდრული წიგნის მაღაზიებია, მაგრამ იგი სულ სხვაა. თურპანებთან იკრიბებიან აქაური წიგნის მოყვარულები. ვის არ ნახავთ აქ: მაღალი რანგის მოხელეს თუ უბრალო მოსამსახურეს, ცნობილ დიპლომატსა და სკოლის მოსწავლეს, პროფესორსა და სტუდენტს. აქ მათ შორის სოციალური განსხვავების ზღვარი იშლება — ყველანი წიგნის თაყვანისმცემლები არიან.

ანკარა თურქეთის ყველაზე უფრო წიგნიერი ქალაქია. თურქეთში კი წიგნი უყვართ. ბევრს ბეჭდავენ, თითქოს [illegible] ერთი ნახტომით მოსკოვ[illegible] ნოვანი ჩამორჩენა. თურქულად თარგმნილია თითქმის მთელი ევროპული და რუსული კლასიკა. გატაცებით კითხულობენ ლევ ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვს, ტურგენევს, გოგოლს, გორკის. თურქულად სწრაფად ითარგმნება ყველაფერი, რაც კი ახალი და მნიშვნელოვანი გამოჩნდება ხოლმე მსოფლიო წიგნის ბაზარზე. ითარგმნა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, რამდენიმე ხნის წინათ გამოვიდა „მარქსი და ენგელსი თურქეთის შესახებ“. თურქეთში კარგად იცნობენ საბჭოთა მწერლებს: შოლოხოვს, ლეონოვს, აიტმატოვს, გამზატოვს. მაგრამ ამ ბოლო დროს ქაღალდის გაძვირების გამო წიგნიც გაძვირდა. ჩვენიან წიგნს მოყვარულები, რომ ვეღარ ყიდულობენ წიგნებს, ჩვენიან წიგნის გამყიდველები, რომ ვეღარ ყიდიან წიგნებს. გაზეთმა „გიუნაიდინმა“ წიგნის გაძვირებასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა დაბეჭდა: 1970 წელს 10.000 ლირით შეგიძლოთ გეყიდათ 20.000 ცალი გაზეთი, დღეს კი მხოლოდ 1000, ამავე თანხით 1970 წელს იყიდდით 1269 წიგნს (საშუალო ფასებში), დღეს კი მხოლოდ — 100 ცალს.

თურპანების მაღაზიაში თაროების წინ ვდგავარ, წიგნებს ვათვალიერებ, ზოგიერთს ვფურცლავ, გამორჩევით ადგილებს ვკითხულობ, თან ერთ თურქ ახალგაზრდა ისტორიკოსს ვესაუბრები. იგი მიმტკიცებს, რომ მას, თურმე, სტამბოლში, რომელიღაც არქივში უნახავს თურქეთის სულთნის, დიდი რეფორმატორის სელიმ III-ის (XVIII/XIX საუკუნეების მიჯნა) დედის მიერ დიდი კეზერის იუსუფ ფაშასადმი ქართულ ენაზე მიწერილი წერილი, მაგრამ არ ვიცი მართლაც ნახა, თუ რაიმე შეცდომა დაუშვა საბუთის დადგენის დროს. ამ საუბრისას ხელში მომხვდა ალექსანდრე ყაზბეგის კოხტად გამოცემული „ელგუჯას“ თურქული თარგმანი, მის გვერდით იდო იუსუფ ფაღავას „ჩაუმქრალი კერა“, მის იქით — ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ და, ბოლოს, სიმონ ქვარიანის რომანი გიორგი საკაძეზე. უფროსი თურპანი მეუბნება, ქართული ლიტერატურა ერთად დავალაგეო. ეს, უდავოდ, ლიდი საქმეა, რომ ქართულმა ლიტერატურამ თურქულ სამყაროში შეაღწია, რომ თურქმა მკითხველმა გაიცნო საქართველო, ჩვენი მწერლობა, ჩვენი კულტურა. ქართულადაც ხომ ითარგმნა მრავალი თურქი მწერალი. საბჭოთა საქართველოში პატივს სცემენ თურქულ, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხების კულტურას, მაგრამ, ცხადია, განსაკუთრებით დიდია ინტერესი მეზობელი ხალხისადმი. მრავალი თურქი პოლიტიკური თუ კულტურის მოღვაწე ჩამოსულა თბილისში და ყველა მათგანისათვის ყოველთვის დიდი და სასიამოვნო აღმოჩნდა ყოფილა ის, თუ რა ბევრი რამ კეთდება ჩვენში თურქული კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის შესასწავლად და ჩვენი ხალხისათვის გასაცნობად.

თურქებისათვის ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის გაცნობას მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო თურქმა არქიტექტორმა აჰმედ ოზჭანმა. ეს მისი მეცადინეობით იყო, რომ თურქულად ითარგმნა ქართველი მწერლები. აჰმედ ოზჭანი შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას და მოასწრო კიდეც თარგმანის ნაწყვეტების გამოქვეყნება. მაგრამ თურქეთში მძვინვარე ტეროროის ტალღას ვერ გადაურჩა — მემარჯვენე ექსტრემისტებმა, თ

ეძღვნება
საბჭოთა
საქართველოს
მე-60 წლისთავს

ხალხის ხელოვნება

თბილისში გაიხსნა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ თბილისში 7-13 აპრილს ეწყობა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა. ხალხური შემოქმედების ამ ზეიმზე, რომელიც საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს ეძღვნება, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოვიდნენ საუკეთესო თვითმოქმედი კოლექტივები.

ოლიმპიადის მონაწილეთა გაკარგულებაშია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი. ერთი კვირის განმავლობაში სწორედ აქ უჩვენებენ ისინი დედაქალაქის საზოგადოებრიობას თავიანთ შემოქმედებას.

გუშინ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ოლიმპიადის დასკვნითი ტურის პირველ კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. პატარიძე, ტ. ვ. როსტიაშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე.

ოლიმპიადის მონაწილეებს მისალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი. მან თვითმოქმედი კოლექტივების წარმომადგენლებს უსურვა წარმატებები



და გამოთქვა რწმენა, რომ ოლიმპიადა ახალ სიმაღლეზე აიყვანს ჩვენს ხალხურ შემოქმედებას, გამოავლენს ახალ სახელებს.

კონცერტის საზეიმო პროლოგი იყო ქალაქ თბილისის სტუდენტი ახალგაზრდობის ნაკრები გუნდის გამოსვლა, რომელმაც შეასრულა რ. ლაღიძის „სიმღერა პარტიაზე“. ეს სადიდებელი გაისმა როგორც მადლობა კომუნისტური პარტიისადმი, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობითაც საქართველომ საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში უმაგალითო აყვავებას მიაღწია.

შემდეგ სცენა დაეთმო აჭარის ასსრ თვითმოქმედ კოლექტივებს — ხულოს, ქედის, ქობულეთის, შუახევის რაიონების წარმომადგენლებს. გუშინ გამოვიდნენ აგრეთვე სიღნაღის, სამტრედიის, კასპის, გარდაბნის, ბოგდანოვკის, მცხეთის, ახმეტის რაიონების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

ერთი კვირის მანძილზე თბილისში გამოვლენ რესპუბლიკის 60-ზე მეტი ქალაქის და რაიონის სამხატვრო კოლექტივები.

„კომუნისტის“ კორ.

სურათებზე: ზემოდან — ცეკვავს სამტრედიის რაიონის კულტურის სახლის ქალთა ქორეოგრაფიული ანსამბლი; გარდაბნის რაიონის კულტურის სახლის ვაჟთა ვოკალური გუნდი ასრულებს ხალხურ სიმღერას „ორეშხეი“; მარცხნივ — მღერის მცხეთელი ოთარ თათარაშვილი.

ხ. კილაძისა და ვ. გენგიშურის ფოტო.

საარის დღეები საქართველოში

„ხაბეთა საქართველოსა და საარის მხარეს შორის მეგობრობის მტკიცე ხიდი გაიდო. ახალი თაობები გაბედულად გაივლიან მასზე: ეს არის ნათელი მომავლის ხიდი, მშვიდობისაკენ მიმავალი გზა“, — ასე შეაფასეს ჩვენი ურთიერთობა დასავლეთგერმანელმა მწერლებმა — საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გამართული მეგობრობის საღამოს მონაწილეებმა.

თბილისისა და საარბრიუკენის ათი წლის წინათ ჩასახული კონტაქტები ქალაქების მჭიდრო მეგობრობად გადაიზარდა. მან მოიცვა საარელთა და ქართველი ხალხის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფერო. ამას მოწმობს თუნდაც საქართველოში საარის ახლანდელი დღეების პროგრამა. დიდი წარმატება ხვდა თბილისსა და ქუთაისში საარბრიუკენის რადიოს სიმფონიური ორკესტრის კონცერტებს, საარელი მწერლები შეხვდნენ თავიანთ კოლეგებს საქართველოს მწერალთა კავშირში, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში ოლიმპიადის „ფაზისი“ და საქართველოს სახელმწიფო სიმღერათა ანსამბლი „ფაზისი“ და საქართველოს სახელმწიფო სიმღერიანი კვარტეტი.

7 აპრილს საარის დელეგაციამ იმოგზაურა გორის რაიონში.

(საქინფორმი).

სურათებზე: მარცხნივ — საარელ მხატვართა, გრაფიკოსთა და ფოტოხელოვანთა გამოფენა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში; გამოფენის ექსპონატები: მ. ზერო — „კიბეები“ და ე. რიდელი — „უსათაურო გრაფიკა“.

ს. კილაძის ფოტო.



წიგნი ცოდნის დაუშრეტელი წყაროა

პროგრესული კაცობრიობის გენიალური ბელადი ვ. ი. ლენინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ყველაფერს, რასაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა წიგნთან, წიგნის პროპაგანდასთან.

„ზამთრის სასახლის აღების მეორე ღამეს 4 თუ 5 საათზე, განათლების სახალხო კომისრად ჩემი დანიშვნის შემდეგ, — წერდა ვ. ი. ლუნაჩარსკი, — ლენინმა გამიხმო და მითხრა: „ეცადეთ, რომ უპირველესი ყურადღება მიაქციოთ ბიბლიოთეკებს... წიგნი რაც შეიძლება მალე უნდა გავხადოთ მისაწვდომი მასიათვის... უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი წიგნი რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მივაწოდოთ რუსეთის ყველა კუთხეს“.

ვ. ი. ლენინის ამ მითითებებს წარმატებით ასრულებენ დღეს ბიბლიოთეკების მუშაკები. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად, ჩვენს ქვეყანაში არნახულ სიმაღლეზეა აყვანილი ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოება და ბეჭდვითი პროდუქციით შრომელთა მომსახურების საქმე.

საბჭოთა საქართველოში უჩვეულო ტემპით განვითარდა საბიბლიოთეკო ქსელი და ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება. თუ რევოლუციამდელ საქართველოში 30-ოდე ბიბლიოთეკა-სამკითხველო იყო უმნიშვნელო წიგნის ფონდით, ამჟამად 9 ათასამდე სახელმწიფო, პარტიული, პროფკავშირული, საკოლმეურნეო, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი და ათიათასობით პირადი — საოჯახო ბიბლიოთეკაა, რომელთა წიგნის ფონდი, რამდენიმე ათეულ მილიონს აღემატება და იგი ყოველდღიურად ათასობით მკითხველის განკარგულებაშია.

ჩვენს რესპუბლიკაში ბიბლიოთეკებსა და წიგნთსაცავებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ისტორიული დოკუმენტებით დადასტურებულია, რომ ჯერ კიდევ X საუკუნეში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ეკლესია-მონასტრებთან და მეფეთა კარზე არსებობდა ქართული უნიკალური ხელნაწერების საცავები. ყამთა-აღმწერლის ცნობით, დავით ალმაშენებელს სამეფო კარის სტაციონარულ ბიბლიოთეკასთან ერთად ჰქონდა მოძრავი ბიბლიოთეკაც „ლაშქრობისას სამეცადინოთ, ჯორებსა და აქლემებზე აკიდებული“. აღსანიშნავია იოსებ თბილელის მიერ XV საუკუნეში შექმნილი წიგნთსაცავი. XVI-XVIII საუკუნეებში ვახტანგ VI, თეიმურაზ II სამეფო კარის ბიბლიოთეკებთან ერთად ანტონ პირველს ჰქონდა პირადი ბიბლიოთეკა 7 ათასამდე წიგნის ფონდით, 1802 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელთან დაარსდა ბიბლიოთეკა ცალკე სამკითხველო დარბაზით (პირველად საქართველოს ბიბლიოთეკების ისტორიაში), გასულ საუკუნეში აღსანიშნავია ეკ. კოტოვას კერძო, ფასიანი ბიბლიოთეკა, დ. ყიფიანის, ვახტანგ, ზაქარია .და ვრიგოლ ორბელიანების, მ. თუმანიშვილისა და ნ. ბარათაშვილის ინიციატივით დ. ყიფიანის ბინაში გახსნილი ბიბლიოთეკა, რომლის წიგნის ფონდი (510 ტომი) გადაეცა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსებულ თბილისის პირველ საჯარო ბიბლიოთეკას, რომლის მეშვეიდრე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

„ბიბლიოთეკა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ეს ... ეს ... ეს ...